



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია: წარმომადგენლობითი საბჭოს

2023 წლის 25 სექტემბრის N28 დადგენილებით

უწყვეტი განათლების ცენტრის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. უწყვეტი განათლების ცენტრი (შემდგომში - „ცენტრი“) წარმოადგენს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდეგში „სასწავლო უნივერსიტეტი“) დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
2. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.
3. ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

მუხლი 2. ცენტრის დანიშნულება და საქმიანობის სფერო

1. ცენტრის დანიშნულებას წარმოადგენს, საუნივერსიტეტო და ფართო საზოგადოებას საშუალება მისცეს გამოიყენოს სასწავლო უნივერსიტეტის რესურსები და გამოცდილება პროფესიული და პიროვნული განვითარებისათვის, კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ახალი პროფესიული უნარების შეძენისათვის ასაკის შეუზღუდავად.
2. ცენტრის საქმიანობის ძირითადი სფეროა, უწყვეტი განათლების მიღების (მომზადების/გადამზადების მოკლევადიანი კურსების/პროგრამების, ტრენინგ-კურსების (პროფესიული, საზაფხულო/ზამთრის სკოლები, მოკლევადიანი კურსები უცხო ენის, კარიერის დაგეგმვის, ბავშვთა უფლებების დაცვა, იურიდიული კლინიკა და სხვა) ხელმისაწვდომობის სერვისის მომსახურება/ ადმინისტრირება.
3. ცენტრის მთავარი ფუნქციაა, უნივერსიტეტის პერსონალის მომსახურება როგორც პროფესიული, ისე კვლევის უნარების განვითარების მიმართულებით.



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მუხლი 3. ცენტრის ამოცანები და ფუნქციები

1. ცენტრის ამოცანებია:

- ა) ფართო საზოგადოებისთვის უწყვეტი განათლების ცენტრის სერვისების შეთავაზებით სასწავლო უნივერსიტეტის როლისა და მნიშვნელობის გაძლიერება.
- ბ) სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების/კურსების/სემინარების ორგანიზება.
- გ) რეგიონში არსებული ფერმერების, აგრობიზნესში ჩართული პირების პროფესიული განვითარების მიზნით საკონსულტაციო მომსახურების დაგეგმვა
- დ) ქართულ/ უცხოურ ორგანიზაციებთან, სახელმწიფო/კერძო სტრუქტურებთან თანამშრომლობა და პროექტების მომზადება.

2. ცენტრი ახორციელებს:

- ა) სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის /პროფესიული სტუდენტებისთვის /შშმ და სსსმ პირებისთვის, უნივერსიტეტის აკადემიური/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის, უნივერსიტეტს გარეთ დაინტერესებული სამიზნე ჯგუფების კვალიფიკაციის ამაღლება, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო სერვისების შეთავაზება;
- ბ) სახელმწიფო/კერძო სტრუქტურებთან, ბიზნესის სექტორთან, პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა სუბიექტებთან თანამშრომლობით და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით, უწყვეტი განათლების მიზნებისთვის პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრას და შესაბამისი კურსების/პროგრამების დაგეგმვას.
- გ) უწყვეტი განათლების საუნივერსიტეტო სერვისების შესახებ ფართო საზოგადოებისთვის შესაბამისი საინფორმაციო კამპანიის წარმოებას;
- დ) სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან და სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო თანამშრომლობას;
- ე) საუნივერსიტეტო საზოგადოების ინფორმირებას უწყვეტი განათლების პროგრამებში მათი ჩართვის შესაძლებლობების შესახებ.



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მუხლი 4. ცენტრის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის უფროსი, რომელიც ზედამხედველობს ცენტრის საქმიანობას. ცენტრის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე.

2. ცენტრის უფროსი:

ა) აწვდის ინფორმაციას დაინტერესებულ პირებს მომსახურებების მიღების ადგილისა და მომსახურებაზე/კონსულტაციაზე უფლებამოსილი პირის შესახებ :

1. კარიერის დაგეგმვის კურსები - კარიერის განვითარების ცენტრი
2. უცხო ენის კურსები - უცხო ენათა შემსწავლელი ცენტრი
3. საკონსულტაციო მომსახურებები სოფლის მეურნეობის მიმართულებით - პროფესიული პროგრამების განყოფილება/ექსტენციის ცენტრი
4. მოკლევადიანი მომზადების/გადამზადების კურსები - პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი
5. სამართლებრივი საკითხები-იურიდიული სამსახური
6. ინდივიდუალური კონსულტაციები შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები
7. პლაგიატი - სამეცნიერო განყოფილება
8. აკადემიური წერის კურსები-ფაკულტეტი
9. სწავლების მეთოდები - ფაკულტეტი.
10. შემოქმედებითი ინკუბატორი
11. გასტრონომიის აკადემია
12. ბავშვის უფლებათა ცენტრი
13. ფსიქოლოგიის ცენტრი
14. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ცენტრი
15. იურიდიული კლინიკა

გ) წარმართავს ცენტრის მუშაობას და განსაზღვრავს ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტებს და პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე;

ე) წარმოადგენს ცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობაში.

ვ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და მოვალეობებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

ზ) ორგანიზებას უწევს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა/ მსმენელთა მოწვევას და სასწავლო პროცესის წარმართვას;



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

თ) ცენტრის კომპეტენციით განკუთვნილ საკითხებზე ამზადებს წინადადებებს და წარუდგენს რექტორს;

3. ცენტრი საქმიანობის განხორციელებისას თანამშრომლობს კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის სპეციალისტთან.

4. ცენტრის უფროსი ანგარიშვალდებულია რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

5. ცენტრის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მოვალეობის შემსრულებელი განისაზღვრება ადმინისტრაციული აქტით.

მუხლი 5. კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები

1. კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის სპეციალისტის ფუნქცია - მოვალეობებია:

1.1 პროფორიენტაციის კუთხით სკოლის მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან შეხვედრებისა და საუბრების ჩატარება სასწავლო უნივერსიტეტის სპეციფიკისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;

1.2 პროფესიული პროგრამების ცნობადობის ამაღლების მიზნით სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება;

1.3. მისაღები კონტიგენტის მოზიდვისა და მათი სწორი პროფესიულ ორიენტაციის პროცესში მონაწილეობის მიღება;

1.4. კონსულტაციების გაწევა და ინფორმაციის მიწოდება სწავლის მიღების მსურველთათვის/დაინტერესებული პირებისთვის სასწავლო უნივერსიტეტში არსებული პროფესიული პროგრამების შესახებ;

1.5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევაში კონსულტაციისა და აპლიკანტთათვის მათი ინტერესების შესატყვისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალის შერჩევაში დახმარება;

1.6 აქტიურ მონაწილეობის მიღება შეხვედრებისა და ღონისძიებების დაგეგმვაში;

1.7. მონაწილეობის მიღება უნივერსიტეტის საქმიანობის რეკლამირებაში პროფესიული სტუდენტების და პარტნიორი დამსაქმებლების მოზიდვის მიზნით;

1.8. სტრატეგიული დაგეგმარებისა და კვლევების ცენტრის უფროსთან ერთად მონაწილეობა შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევაში;

1.9. პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციის მიწოდება დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

1.10. პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით კვლევებში აქტიური ჩართულობა;



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

- 1.11. კარიერული მხარდაჭერის მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
 - 1.12. ახალი პარტნიორების მოძიებისა და დამსაქმებელ ორგანიზაციებთან მოლაპარაკების პროცესში მონაწილეობა პროფესიულ სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის გავლისა ან/და შემდგომი დასაქმების მიზნით;
 - 1.13. ანგარიშვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსის, პროფესიული განათლების ზუგდიდის ცენტრის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და რეესტრის მართვის განყოფილების უფროსის წინაშე.
1. კომპეტენციის ფარგლებში სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მიერ დელეგირებული სხვა საქმიანობა, რომელიც გამომდინარეობს სასწავლო უნივერსიტეტის ინტერესებიდან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას;
 1. აქტიური თანამშრომლობა სასწავლო უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან პროფესიული განათლების განვითარების მიზნებისათვის.
 2. კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის სპეციალისტს ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით.
 3. კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის სპეციალისტის არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობის შემსრულებელი პირი განისაზღვრება რექტორის ადმინისტრაციული აქტით.

მუხლი 5 .სხვა უფლება-მოვალეობები

1.ცენტრის უფროსი ვალდებულია:

- ა)დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;
- ბ)გაუფრთხილდეს სასწავლო უნივერსიტეტის ქონებასა და საქმიან რეპუტაციას;
- გ)იზრუნოს დოკუმენტაციაზე (არ დაუშვას მათი დაკარგვა/დაზიანება);
- დ) დაიცვას მის ხელთ არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია;
- ე) დროულად მიაწოდოს რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ან სტრუქტურულ ერთეულებს მითხოვნილი ინფორმაცია;
- ვ) სწორად და კვალიფიციურად გასცეს კონსულტაცია;
- ზ) ჩაერთოს თანამდებობრივი პოზიციით გათვალისწინებული საქმიანობისგან განსხვავებულ სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობაში, ორგანიზაციულ ღონისძიებებში;
- თ) შექმნას პოზიციური გარემო, დაიცვას ეთიკის, კოლეგიალობისა და სუბორდინაციის პრინციპები;



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ი) იზრუნოს ყოველდღიურ საქმიანობაში სასწავლო უნივერსიტეტის რეპუტაციასა და აქტივობებზე;

კ) წარადგინოს ყოველთვიური/კვარტალური/წლიური ანგარიშები, სამსახურის სამოქმედო გეგმა;

ლ) მართვის პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტური გამოყენების მიზნით ითანამშრომლოს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან დაგეგმილი კვლევების (თვითშეფასების/შეფასების/კმაყოფილების კვლევის) კითხვარის შედგენისა და ჩატარების პროცესში;

მ) რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;

2. ცენტრის უფროსი უფლებამოსილია მოითხოვოს ხელმძღვანელობისაგან საჭირო რესურსების გამოყოფა სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების/ გაუმჯობესების მიზნით.

მუხლი 7. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.